ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მძლეოსნები სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის სამზადისს დიდი ხანია შეუდგნენ. ამას წინათ მათ ერთხელ კიდევ შეამოწმეს ძალა თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გამართულ რესპუბლიკურ ჩემპიონატში.

საქართველოს პირველობაში განსაკუთრებით კარგად იასპარეზა დინამოელმა სპორტის ოსტატმა ლამარა ტულუშმა, რომელმაც გაიმარჯვა ბირთვის კვრასა და ბადროს ტყორცნაში.

სურათებზე: ლ. ტულუში ბადროს ტყორცნის დროს; გ. სტარიჩკოვი („ლოკომოტივი“), რომელიც ჩემპიონი გახდა 1500 მეტრზე რბენაში.

მ. ზარგარიანის ფოტო.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 231 (4225)

1970 წ. 25 ნოემბერი. ოთხშაბათი. ფასი 4 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ᲐᲣᲚᲔᲑᲡ ᲐᲚᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲒᲔᲑᲡ

ᲨᲝᲪᲘᲙᲐᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ

კრივი სსრ კავშირში ერთ-ერთი პოპულარული სახეობა რომ არის, ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა კაუნასის საკავშირო ჩემპიონატმა. გუშინწინ გაიმართა ფინალური შეხვედრები, რომლებსაც უამრავი მაყურებელი დაესწრო. ეს არცაა გასაკვირი — სახელგანთქმული მოკრივეების ა. შოციკასისა და რ. ტამულისის შმობლიურ ქალაქში ასეთი შეჯიბრება 21 წლის წინათ გაიმართა...

მაშ ასე, გუშინწინ ერევნელი მძიმეწონოსანი კ. საროიანისა და ორენბურგელი ვ. ჩერნიშოვის ორთაბრძოლით დამთავრდა წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატი, რომელმაც ქვეყნის 11 საუკეთესო მოკრივე გამოავლინა.

ერევნელმა საუკეთესო თვისებები გამოავლინა. იგი იბრძოდა გააზრებულად. ზუსტად იცავდა მანძილს და მეტოქეს თავს მხოლოდ მაშინ ესხმოდა, როცა შეტევისთვის მზად იყო. მისმა მეტოქემ ყრუ დაცვა აირჩია და მხოლოდ ეპიზოდურად თუ ესხმოდა თავს ერევნელს. საროიანი ერთნაირად ძლიერად ფლობს როგორც პირდაპირ, ასევე გვერდით დარტყმებს. მან დამსახურებულად მოიპოვა ჩემპიონის წოდება.

ამ დღეს საროიანს კიდევ ერთმა თანამემამულემ მიიღო ოქროს მედალი. ეს გახლდათ ს. კაზარიანი. მან ლამაზ პაექრობაში სძლია მოსკოველ ოსტატს ვ. ნიკოლაევს.

და მაინც, ფინალურ შეჯიბრებაში ყველაზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა სარკოველი ვ. ნოვიკოვისა და ალმაათელი ა. აბდრახმანოვის შეხვედრამ. ეს იყო ორი თანაბარძალოვანი სპორტსმენის შეუპოვარი დავა, სადაც გადამწყვეტი სიტყვა ფსიქოლოგიურ მომზადებას უნდა ეთქვა. მოკრივეები მოქმედებდნენ ძალიან ეკონომიურად, მსუბუქად და, რაც მთავარია, მაღალტექნიკურად. ეს შეხვედრა აღბათ ნებისმიერი მასშტაბის საერთაშორისო ტურნირსაც დაამშვენებდა. ბოლომდე ძნელი იყო გამარჯვებულის დასახელება, მაგრამ მესამე რაუნდში აბდრახმანოვმა ნამდვილი სპორტული ხასიათი გამოავლინა. იგი ისევ მობილიზებულად და გააზრებულად იბრძოდა, რამაც გადაწყვეტა კიდეც შეხვედრის ბედი.

შარშანდელი 11 ჩემპიონიდან ფინალისკენ გზა გაიკვლია მხოლოდ ორმა მოკრივემ — სარატოველმა ა. სემიონოვმა და ვოლგოგრადელმა ვ. ტრეგუბოვმა. ამ ორმა მოკრივემ ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა.

ქების ღირსია ო. კოროტაევიც (მოსკოვი), რომელმაც დამაჯერებლად მოუგო თანაქალაქელ ვ. ნესტერენკოს.

გ. ᲛᲘᲜᲓᲔᲚᲘ.

ა ი, პრიზიორებიც:

48 კგ. ა. სემიონოვი (სარატოვი), ვ. სტრელნიკოვი (ულან-უდე), ა. მარტიანოვი (ჩერეპოვეცი), ვ. ივანოვი (ვოლგოგრადი).

51 კგ. ლ. ბუგაევსკი (ოდესა), გ. ზარიტუევი (მოსკოვი), ი. შიდლოვსკი (ტაშკენტი), ნ. ნოვიკოვი (მოსკოვი).

54 კგ. ა. მელნიკოვი (მოსკოვი), ჯ. გორბატოვი (ნოვოსიბირსკი), ვ. დრუჟინინი (დონეცკი), ი. დუმენიუკი (კიევი).

57 კგ. ა. ზურზა (კაუნასი), გ. კუზნეცოვი (ასტრახანი), ვ. სოკოლოვი (ჩებოქსარი), ვ. კალმიკოვი (საბჭოთა არმია).

60 კგ. ნ. ხრომოვი (ტაშკენტი), ა. კამნევი (მოსკოვი), ო. გუროვი (ალმა-ათა), ვ. ბელოუსოვი (ვოლგოგრადი).

63,5 კგ. ს. კაზარიანი (ერევანი), ვ. ნიკოლაევი (მოსკოვი), ა. კოლესნიკოვი (ვოროშილოვგრადი), ვ. შაკუროვი (დონეცკი).

67 კგ. ა. აბდრახმანოვი (ალმა-ათა), ვ. ნოვიკოვი (სარკოვი), ა. სკოროდოვი (ლენინგრადი), ვ. მუსალიმოვი (კიევი).

71 კგ. ვ. ტრეგუბოვი (ვოლგოგრადი), ბ. ოპუკი (ლენინგრადი), ა. კლიმანოვი (ყდანოვი), ო. ტოლკოვი (კიევი).

75 კგ. ი. იოციავიჩიუსი (კაუნასი), ა. პანკრატოვი (ლენინგრადი), ვ. ტარასენკოვი (მოსკოვი), პ. იუსაიტისი (კაუნასი).

81 კგ. ო. კოროტაევი, ვ. ნესტერენკო (ორივე — მოსკოვი), ი. ნესტეროვი (ვოლგოგრადი), ვ. მეტელიოვი (ლვოვი).

81 კგ-ს ზემოთ. კ. საროიანი (ერევანი), ვ. ჩერნიშოვი (ორენბურგი), ა. ვასიუშკინი (მოსკოვის ოლქი), ვ. ინიატკინი (ოდესა).

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

1971 წლის სეზონი საბჭოთა კალათბურთელებისთვის, პირველ ყოვლისა კი წამყვანი გუნდებისთვის, უჩვეულოდ გადატვირთული იქნება. ორი დიდი ტურნირი შინ — საკავშირო ჩემპიონატი და სპარტაკიადა, რამდენიმე სპასუხისმგებლო ასპარეზობა საერთაშორისო სარბიელზე, რომელთაგან მთავარია ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებები.

ბევრი სამუშაო ელით ნაკრების ახალ ხელმძღვანელებსაც ვ. კონდრაშინსა და ს. ბაშკინს. საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის შემდეგ მათ უნდა დაასახელონ ნაკრების კანდიდატები, რომლებსაც პირველი გამოცდის ჩაბარება მაისის დამდეგს მოუწევთ: ბელგრადში საბჭოთა გუნდი მონაწილეობას მიიღებს იუგოსლავიის ტელევიზიის მოწყობილ ტურნირში. შემდეგ სსრ კავშირის ნაკრები ტურნეს გამართავს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ავგისტოს დამდეგს მოსკოვში ჩატარდება საერთაშორისო ტურნირი ი. გაგარინის სახელობის პრიზზე, მოგვიანებით კი ნაკრები ძალას მოსინჯავს მიუნჰენის ევროპულ ჩემპიონატში. ეს რაც შეეხება კალათბურთს, ასე ვთქვათ, უმაღლეს დონეზე.

საკლუბო გუნდებს კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასპარეზობა ევროპულ ტურნირებში მოუწევთ: ლენინგრადის „სპარტაკი“ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში გამოვა, ხოლო ცსკა 5 დეკემბერს გამართავს პირველ მატჩს კონტინენტის ჩემპიონთა თასზე. მარტში მოსკოვში არმიელებს კიდევ ერთი სერიოზული გამოცდა ელით. ისინი გადასერავენ ოქეანეს და ბრაზილიის ქალაქ სანპაულუს ეწვევიან, რათა საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშებაში გაარკვიონ ურთიერთობა.

როგორც ხედავთ, მოსკოვის არმიელებს თავისაყრელი საქმე აქვთ. ამ გარემოებას დროულად მიაქციეს ყურადღება გუნდის ხელმძღვანელებმა და თადარიგი სეზონის დაწყებამდე დაიჭირეს. არმიელთა შემადგენლობაში დღესდღეობით ძირითადი ნაკრების რამდენიმე წევრი თამაშობს. ესენი არიან: ს. ბელოვი — ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელი, ჟარმუხამედოვი და ანდრეევი — საბჭოთა კალათბურთის აღიარებული ცენტრები.

მაგრამ ძირითადი ნაკრების გარდა არსებობს იუნიორთა ნაკრებიც, რომელიც ფაქტიურად რეზერვს უმზადებს თავის გამოცდილ პარტნიორს. ცსკა-მ თავის შემადგენლობაში ამ გუნდის 3 წამყვანი წევრი მიიწვია. ისინი მართალია II ჯგუფის გუნდებში იყვნენ გაწაწყლებული, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს. მთავარია, რომ სუბოტინმა, ე. კოვალენკომ, ზახაროვმა, ეფეშკომ და ოსტრებოვმა უკვე მიიღეს დიდი კალათბურთის ვიზები და ოსტატობით არ ჩამოუვარდებიან თავიანთ „უფროს“ კოლეგებს.

აი, სწორედ ამ გუნდის წინააღმდეგ მოუხდა გუშინწინ თამაში თბილისის „ბურევესტნიკს“. ცსკა-ს წევრთა ყოველ მოქმედებას გულისყურით აკვირდებოდა ნაკრების მეორე მწვრთნელი ს. ბაშკინი. რას ინიშნავდა იგი თავის უბის წიგნაკში, არავინ იცის, მაგრამ ის კი ცხადია, რომ პირველი ტაიმის შემდეგ ნაკრების მწვრთნელი მაინცდამაინც კარგ ხასიათზე არ იყო: ფავორიტს ძალიან გაუჭირდა — ტაიმი რის ვაივაგლახით დაამთავრა თავის სასარგებლოდ — 37:29.

მატჩის ბედი ფაქტიურად შესვენების შემდეგ გადაწყდა. „ბურევესტნიკის“ ძირითადმა ხუთეულმა ვერ გაუძლო არმიელთა „გრძელ მერხს“. ა. ალაჰაჩიანს ბრძოლის ველზე ახალი, დასვენებული ძალები შემოჰყავდა. ამ არც ისე რთულმა ტაქტიკურმა ხვრხმა ბოლოს და ბოლოს თავისი გაიტანა. მატჩის ბედი გადაწყდა, მაგრამ ბურევესტნიკელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ბოლო წუთამდე მათ ფარ-ხმალი არ დაუყრიათ. ცსკა-მ მეორე ქულაც (87:66) საკმაოდ მძიმე ბრძოლის შემდეგ მიიღო.

ნ. ᲒᲣᲒᲣᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

◆ ᲙᲝᲜᲘᲪᲐ, 24 ნოემბერი. ალმა-ათის „ყაირათი“ რკინიგზელი სპორტსმენების ევროპული კავშირის თასის გათამაშების ნახევარფინალში გავიდა, თუმცა ჩეხოსლოვაკიის ამ ქალაქში ადგილობრივ „ლოკომოტივთან“ საპასუხო მატჩში დამარცხდა — 0:1 (0:0). ალმა-ათელმა ფეხბურთელებმა წარმატებას მიაღწიეს შინ გამართული პირველი შეხვედრის უფრო დიდი ანგარიშით მოგების (4:1) წყალობით. სტუმართა შორის კარგი შთაბეჭდილება დატოვა მეკარე სტეპანოვმა. გოლი „ყაირათის“ კარში 69-ე წუთზე გაიტანა ონდო.

◆ ᲢᲐᲚᲘᲜᲘ, 24 ნოემბერი. ასულგრიან შაშში აქ მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატის V ტურში ოგოროდნიკოვმა მოუგო გოლოსუევს, განტვარგმა — მერინს, ციპესმა — ე. კორხოვს. ყაიმით დამთავრდა პარტიები: მ. კორხოვი — შჩოგოლევი, კუპერმანი — გერშტი, მოგილიანსკი — შაველი, ანდრეიკო — შაუსი, დავიდოვი — რატსი, მეშჩანსკი — კაპლანი. 5 ტურის შემდეგ ლიდერობენ: ანდრეიკო, მ. კორხოვი, ოგოროდნიკოვი — 3,5-3,5 ქულა, განტვარგი, ციპესი, დავიდოვი, შჩოგოლევი, მერინი, კაპლანი — 3-3.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

● ᲰᲐᲕᲐᲜᲐ, 23 ნოემბერი. კუბის ფეხბურთელთა ნაკრებთან განმეორებით მატჩში ლვოვის „კარპატმა“ რევანში აიღო — გაიმარჯვა ანგარიშით 3:0. მასპინძელთა კარში 2 ბურთი გაიტანა ბროვარსკიმ.

● ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘ, 23 ნოემბერი. ლიბანის ფეხბურთელებთან მესამე მატჩში ერევნის „არარატმა“ კვლავ წარმატებას მიაღწია — ანგარიშით 3:1 დაამარცხა ადგილობრივი „ჰომენეტმენი“. სტუმართაგან ბურთები გაიტანეს პეტროსიანმა (51-ე წ.), იშტოიანმა (72-ე წ.) და მარტიროსიანმა (74-ე წ.).

● ᲚᲐᲘᲪᲘᲒᲘ, 23 ნოემბერი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ამ ქალაქის საუკეთესო სპორტსმენებად კონკურსმა „დაახასელა“ ტანვარჯიშში მსოფლიო ჩემპიონატის ოქროს 2 მედლის მფლობელი ერიკა ცუპოლდი და მსოფლიო ჩემპიონი ტყვიის სროლაში ჰარალდ ფოლმარი. ლაიპციგის სპორტულმა ჟურნალისტებმა მათ საპატიო ნადავლი — „ოქროს ფანქრები“ მიართვეს. საუკეთესო მწვრთნელად დასახელებულია მსოფლიო ჩემპიონის — გდრ-ის ფრენბურთელ ვაუთა ნაკრების ხელმძღვანელი გ. ენტერი.

● ᲞᲚᲝᲔᲨᲢᲘ, 23 ნოემბერი. ადგილობრივ კულტურის სასახლეში დამთავრდა რუმინეთის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატი. უძლიერესის სახელი მოიხვეჭა ბუქარესტელმა ე. პოლიქრონიადემ („ელექტრონიკა“), რომელმაც 11,5 ქულა მოაგროვა 15-დან. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩნენ გ. ბაუმშტარკი (ტიმიშოარას „მედიცინა“) და ა. ნიკოლაუ (ბუქარესტის „კონსტრუქტორული“).

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი საქმიანობის ქვაკუთხედი

სპარტაკიადებისთვის მზადება



ღყალში ჩაშვება — „აქილევსის ქუსლი“

სსრ კავშირის ხალხთა V საიუბილეო სპარტაკიადაში ჩვენი რესპუბლიკის წყალში მხტომელთა მთავარი მიზანი პირველ 8 გუნდში მოხვედრაა. აქ ისინი ერთ-ერთ ძირითად კონკურენტად ყაზახეთის ნაკრებს მიიჩნევენ. ამიტომ იყო, რომ ამ გუნდების სამატჩო შეხვედრამ თბილისის ზამთრის რესპუბლიკურ საცურაო აუზში დიდი ინტერესი გამოიწვია. სტუმართა კოლექტივში ასპარეზობდნენ როგორც უფროსი, ისე უმცროსი ასაკის პერსპექტიული სპორტსმენები, მათ შორის, სსრ კავშირის ნორჩ წყალში მხტომელთა ნაკრების წევრები ა. გენდრიკსონი, ა. ლებედინი, ბ. ენშინი, გ. ჯაკუბაევა და ე. ტერეშჩენკო. ჩვენი გუნდის შემადგენლობაში ავადმყოფობის გამო ვერ გამოვიდნენ შეჯიბრების უდავო ფავორიტები — სპორტის ოსტატები ა. კალიაგინა და ნ. ცოცხალაშვილი. ვერ ისპარეზა დაშავებულმა ა. ბართაიამაც.

როგორც მოსალოდნელი იყო, გუნდურ ჩათვლაში თავიდანვე დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა. როცა ქალებმა 3-მეტრიან ტრამპლინზე შეჯიბრება დაამთავრეს, ორივე კოლექტივს თანაბარი ქულები (11) აღმოაჩნდა. გამარჯვებული ვერც ვაჟთა შორის 10-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში შეჯიბრებამ გამოავლინა. გუნდებმა აქაც ერთნაირი შედეგი (11-11 ქულა) აჩვენეს.

მეორე დღეს სარბიელზე პირველნი 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში მოასპარეზე ქალები გამოვიდნენ. აქ კი სტუმართა უპირატესობა გამოიკვეთა. მათ 36 ქულა დააგროვეს, ჩვენები კი მეტოქეებს 6 ქულით ჩამორჩნენ.

შეხვედრის ბედი 3-მეტრიანი ტრამპლინიდან მხტომელ გაჟთა ბრძოლას უნდა გადაეწყვიტა. ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები დიდ მონდომებას იჩენდნენ, მაგრამ მხოლოდ ანგარიშში სხვაობის შემცირება შეძლეს: საბოლოოდ საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება სტუმრებს დარჩათ.

აღსანიშნავია, რომ 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში გაიმარჯვეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა — ცოლ-ქმარმა ნადეჟდა და ივანე კუპრიანოვებმა.

შეჯიბრების შემდეგ ბართაიას გთხოვეთ გაეზიარებინა თავისი მთაბეჭდილება ამ შეხვედრის შესახებ.

— ამას წინათ გამართულ რესპუბლიკურ შეჯიბრებასთან შედარებით ჩვენებმა საგრძნობლად გაიუმჯობესეს შედეგები, მაგრამ თავიანთ შესაძლებლობებს ჯერჯერობით მაინც ვამორჩებიან. აღფრთოვანებული ვარ სტუმრების წყალში ჩაშვების ტექნიკით, ჩვენთვის კი ეს „აქილევსის ქუსლია“. გიმედოვნებ, ჩვენები სპარტაკიადამდე გამოასწორებენ ამ და კიდევ სხვა ნაკლოვანებებს, — თქვა ბართაიამ.

ყაზახეთის გუნდის მწვრთნელმა გ. მიხეევმა გვითხრა, რომ ძალიან კმაყოფილია თავისი აღსაზრდელების გამარჯვებით, მაგრამ „შინაური ანგარიშები“ აქვს გასასწორებელი თავის დასთან — ირინასთან, რომელმაც კოშკიდან ხტომაში VI ადგილი დაიკავა. მისგან უკეთეს შედეგს მოველოდით, დასძინა მიხეევმა.

ა. გურასაშვილი.

ტექნიკური შედეგები

ქალები. 3-მეტრიანი ტრამპლინი. ნ. კუპრიანოვა — 91,40, ე. ტერეშჩენკო — 81,72, ნ. გნიოტოვა (საქართველო)— 78,77. **10-მეტრიანი კოშკი.** გ. ჯაკუბაევა — 91,61, ე. ბოიარკინა (საქართველო) — 64,55, ლ. გრიგორენკო (ყაზახეთი) —64,46; **ვაჟები. 3-მეტრიანი ტრამპლინი.** ი. კუპრიანოვი — 102,34, ს. პიჯაკოვი — 98,03, ბ. ენშინი (ორივე — ყაზახეთი) — 97,95. **10-მეტრიანი კოშკი.** რ. არუთინოვი (საქართველო) — 103,81, ს. პიჯაკოვი — 92,44, ვ. ზიკოვი (ყაზახეთი) — 80,27.

სამართლიანი მოთხოვნა

მატარებელი პატარა ბაქანთან ჩერდება. ასეთი ბაქანი უამრავია შავი ზღვის პირას, აჭარაში, მაგრამ აქ მაინც განსაკუთრებით ბევრი ხალხი ჩამოდის. საქმე ისაა, რომ მწვანე კონცხის ტურისტული ბაზა, რომლის კარიც მთელი წლის მანძილზე ღიაა მშურველებისთვის, ერთდროულად საბჭოთა კავშირის სულ სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ 700 ტურისტს მასპინძლობს.

ტურბაზის ტერიტორიაზე განლაგებულია მყუდრო, კეთილმოწყობილი კორპუსები, საშხაპეები, სასადილო, საფოსტო განყოფილება. ღია მოედანზე ხშირად იმართება სწვადასხვა მხიარული თამაში, ცეკვა. კულტმასობრივი მუშაობის ხელმძღვანელი ა. ლომაძე ზრუნავს, რომ სტუმრებს არ მოსწყინდეთ. ტურბაზაში ხშირად ტარდება ლექციები, სისტემატიურად უწვნებენ კინოფილმებს.

მწვანე კონცხზე ჩამოდიან სახალხო რადიალური და ჩასათვლელი მარშრუტების ტურისტები. უფროსი ინსტრუქტორი ო. ხინკილაძე, ტურიზმის ინსტრუქტორები ტ. კონცელაძე და ნ. დეკაძე კარგად ხელმძღვანელობენ ტურისტთა დასვენებას, ხშირად აწყობენ ლაშქრობებს და მონაწილეთ „სსრ კავშირის ტურისტის“ სმკერდე ნიშნებს გადასცემენ.

მაგრამ ყოველივე ზემოთქმულთან ერთად აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რაც ჩრდილს აყენებს ტურბაზა „მწვანე კონცხის“ მუშაობას, ხელს უშლის ტურისტთა ნორმალურ დასვენებას. სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევები, როცა ადგილობრივი ახალგაზრდები (ეს, რასაკვირველია, ყველაზე არ ითქმის) პირდაპირ ჩასფრებული არიან ტურბაზის ტერიტორიაზე და თავიანთი უხეში საქციელით აწუხებენ დამსვენებლებს. ამას გარდა, ტურბაზას არა აქვს კლუბი. თუ წვიმს, დამსვენებლები მთელ დღეს ოთახებში ატარებენ.

ამ საკითხთან დაკავშირებით ტურბაზის დირექციამ (დირექტორი გ. ათარალაშვილი) ბევრჯერ მიმართა ზემდგომ ორგანოებს, მაგრამ მდგომარეობა ჯერჯერობით უცვლელია. კეთილმოუწყობელია პლაჟიც. დღეს კი ეს უბრალო საქმე პრობლემად არ უნდა იქცეს.

ყოველივე ამას უნდა დავსძინოთ საკუთური კავშირგაბმულობის მუშაკთა მიმართ. მწვანე კონცხის ტურბაზას ერთადერთი ტელეფონი აქვს და ისიც უმეტესად არ მუშაობს. ი, რა თხოვნით მიმართა, მაგალითად, 37-ე მარშრუტის ტურისტთა ჯგუფმა საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრს კ. ჭავთარაძეს:

„ჩვენ, ტურისტები, შესანიშნავად ვისვენებთ ტურბაზა „მწვანე კონცხში“, აქ ყველა პირობაა შექმნილი დამსვენებლებისთვის. ტურბაზის ტერიტორიაზე საფოსტო განყოფილებაც კი მუშაობს, მაგრამ.. ქალაქში ან შინ დარეკვა დიდი პრობლემაა. სატელეფონო კავშირი ქალაქთან მუდამ გაწყვეტილია. როცა ტურბაზის დირექტორს დახმარებას ვთხოვთ, იგი ასეთ პასუხს გვაძლევს: ბევრჯერ მივმართე აჭარის კავშირგაბმულობის განყოფილებას, მაგრამ ჯერჯერობით არაფითარი შედეგი არ ჩანსო.

ამდენიმე ამ მშვენიერი კუთხიდან და გულს გვაკლია კავშირგაბმულობის მუშაკთა უყურადღებობის გამო...“

ვფიქრობთ, ტურისტების ეს სამართლიანი მოთხოვნა უყურადღებოდ არ დარჩება.

თ. ჯობავა.

მწვანე კონცხი,
ხელვაჩაურის რაიონი.

ფავორიტების ახოგა

საქართველოს მოსწავლეთა ჩემპიონატში, რომელიც თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე ოქტომბრის ზეიმის დღეებში გაიმართა, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების 24 გუნდი მოპაწილეობდა. მძლეოსნები სამ დღეს ასპარეზობდნენ. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მოსწავლეთა შორის „სპორტის დედოფლის“ გვირგვინისთვის ბოლო წლებში სათანადო დონისძიება დასახა, რესპუბლიკურ ტურნირებში მონაწილეთა რიცხვი გაიზარდა, მაგრამ ამ შეჯიბრებაში გამოსვლა რატომღაც უველამ როდი ისურვა. გორის, ონის, დუშეთის, ქარელის, ახმეტისა და ხობატაურის რაიონების სპორტსმენებმა თითო ჩათვლაც ვერ მიიღეს, მეორე ჯგუფში V ადგილზე გასულმა ფოთის გუნდმა მხოლოდ 18 ქულას შეგროვება შეძლო.

პირველ ჯგუფში თბილისის (2), აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისის, სამხრეთ ოსეთისა და № 1 სპორტსკოლა-ინტერნატის მძლეოსნები ასპარეზობდნენ. აქ უველაზე სუსტად მომზადებული სამხრეთ ოსეთის მძლეოსნები აღმოჩნდნენ — ინტერნატელებთან მათ 5,5 ქულა წაგვეს და ბოლო ადგილს დასჯერდნენ. აქ სპირზო ადგილები ასე განაწილდა: 1. თბილისი I — 319 ქულა, 2. აფხაზეთი — 157,5, 3. თბილისი II — 131. შემდეგ მოდიან აჭარისა (63) და ქუთაისის (58) კოლექტივები. ეს ციფრები ნათლად ადასტურებენ სხვაობას პირველი სამეულისა და დანარჩენი კოლექტივების სპორტსმენთა მომზადებას შორის.

შედარებით დაძაბული იყო პირველობისთვის ბრძოლა II ჯგუფში. მახარაძელებმა ხაშურის წარმომადგენლებს ქულით აჯობეს, ამ უკანასკნელთ კი ახალციხის მძლეოსნებს მხოლოდ 2 ქულა მოუგეს.

პირველობაში 1955-56 წლებში დაბადებული სპორტსმენები გამოდიოდნენ. ჩათვლა ოლიმპიური იყო. გუნდებს ქულები სპორტსმენთა მიჩვენებლების მიხედვით კი არა, მოპოვებული ადგილების შესაბამისად ეწერებოდათ.

დამაკმაყოფილებელი შედეგები მოიპოვეს სიმაღლეზე მხტომელმა ჰაბუკებმა, 100 და 200 მეტრზე მორბენლებმა, ბადროს მტყორცნელმა გოგონებმა.

100 მეტრზე მორბენალ ჰაბუკთა შეჯიბრებაში ვ. ლოჭიმ (აფხაზეთი) და დ. მელაძემ (თბილისი I) პირველი თანრიგის ნორმატივები შეასრულეს — ორივემ 10.9 აჩვენა. პირველობა ლოჭიის დარჩა. ლოჭიმ (22,9) და მელაძემ (23,4) ადგილები 200 მეტრზე რბენაშიც ამ თანმიმდევრობით დაიკავეს. ოღონდ ამჯერად, ისევე როგორც მესამე პრიზიორმა ბ. მექვაბიშვილმა (23,8), II თანრიგის შედეგები აჩვენეს. თბილისელებმა ს. მარავამ (პირადი), გ. შუბინმა და ს. ზურნაჯიანმა (ორივე — პირველი გუნდი) 175 სმ დაძლიეს და საბრიზო ადგილებიც ამ თანმიმდევრობით გაინაწილეს.

100 მეტრზე მორბენალ გოგონათა შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის ძირითადად სამი სპორტსმენი ებრძოდა. ესენი იყვნენ თ. ლოლაძე (თბილისი I), რ. იუნუსბა (აფხაზეთი) და ვ. შმაკოვა (თბილისი, პირადი). შმაკოვა ფინიშთან ჩამორჩა. სამაგიეროდ, იუნუსბა და ლოლაძე ბოლომდე მხარდამხარ მირბოდნენ და მათი ასაკისთვის კარგი შედეგებიც (12,8) აჩვენეს. ჩემპიონობა ლოლაძეს დარჩა.

იუნუსბა ჩემპიონზე მაინც გახდა, ოღონდ სიგრძეზე ხტომაში — 510 სმ. შმაკოვა ამ სახეობაშიც III ადგილზე გავიდა — 486 სმ. მას ლ. ლურსმანაშვილმა (ინტერნატი) აჯობა — 498.

მ. კიკნაველიძემ (თბილისი II) სიმაღლეზე მხტომელ გოგონათა შეჯიბრებაში ფავორიტებს აჭკარად აჯობა — 152 სმ დაძლია და II თანრიგის ნორმატივი შეასრულა. კიკნაველიძემ თბილისის I გუნდის წევრს ზ. კოსტრიკინას 5 სმ მოუგო, მესამე პრიზიორს ე. პიტენკოს (აფხაზეთი) კი 15 სანტიმეტრით აჯობა.

დ. გელაშვილი.

გთავაზობთ სხვა სახეობებში გამარჯვებულთა ტექნიკურ შედეგებს.

გოგონები. რბენა. 200 და 400 მ. ტ. ტესლენკო (აფხაზეთი) — 26,9 და 1.03,2; **800 მ.** ნ. სუდაკოვსკაია (თბილისი I) — 2.31,5; **100 მ თარჯრბენი.** მ. მაღლაფერიძე (ქუთაისი)—19,0; **ესტაფეტა 4×100 მ.** აფხაზეთი — 54,4; **ბადროს ტყორცნა და ბირთვის კვრა.** ნ. ლაბაძე (ხაშური) — 39,44 და 11,04; **შუბის ტყორცნა.** ტ. შტეკატეროვა (აჭარა) — 33,72; **ხუთჭიდი.** ც. ბითარიშვილი (თბილისი, პირადი) — 3366 ქულა.

ჰაბუკები. რბენა 400 და 800 მ. ი. ბიხანოვი (თბილისი I)— 55,4 და 2.07,7; **1500 მ.** ვ. მელაშვილი (თბილისი I) — 4.29,8; **თარჯრბენი. 110 მ.** გ. მელაძე (გარდაბანი) — 18,8; **400 მ.** ი. ხვინი (ქუთაისი)—1.03,5; **ესტაფეტა 4×100 მ.** თბილისი I — 46,9; **6 კმ სპორტული ხეირული.** დ. ბაბურაშვილი (თბილისი I) — 26.09,2. **ბატმა. სიგრძეზე.** ს. კუზნეცოვი (ახალციხე) — 615; **ჭოკით.** მარავსკი — 340; **სამხტომი.** გ. გუნინი (თბილისი I) — 13,04; **ბადროს ტყორცნა.** ნ. ქებაძე (სამხრეთ ოსეთი) — 40,45; **შუბის ტყორცნა.** რ. ალიხვერდოვი — 54,20; **ურის ტყორცნა.** გ. ელიაშვილი (ორივე — თბილისი I) — 47,48; **ბირთვის კვრა.** გ. ჯაფარიძე (მესტია) — 11,94; **რვაჭიდი.** გ. ბაბატიური (თბილისი I) — 3785 ქულა.



შაბათს თბილისის „შრომითი რეზერვების“ სტადიონზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ლენინის რაიონის V სპარტაკიადა. სტადიონზე ჩაიარეს ლენინის სახელობის ელმავალსაშენო ქარხნის, სალოკომოტივო დეპოს, ავჭალის შუშის ქარხნისა და სხვა კოლექტივებმა.

სპარტაკიადის გახსნის შემდეგ გაიმართა პირველი კალენდარული შეხვედრები ფეხბურთში, მოტობურთსა და სხვა სახეობებში.

• • •

ხურათზე: მოტობურთელთა შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.

გ. დოლენჯაშვილის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ერთი მოზარდი უსპორტოდ!..

ჩვენი საერთო სატკივარი..

გზა ჯანმრთელობისა და ვითილოთბილებისკენ

ამ რამდენიმე წლის წინათ ნაძარალებმა სიცოცხლეს გამოასალმეს ჭაბუკი სპორტსმენი, რომელიც ის-ის იყო ეწყებოდა დიდი ცხოვრების გზას. იგი იყო მეცნიერ-ახალგაზრდა, უყვარდა სიცოცხლე, მშობლიური ქალაქი, მეგობარ-ამხანაგები. ეს შემაძრწუნებელი ამბავი მაშინ ელვის ხისწრაფით მოედო თბილისს. უველა გაოცებით შლიდა ხელებს: როგორ, დღისით-მზისით, შუა ქალაქში ვინ მისცა საზოგადოების ხორცმეტებს უდანაშაულო ადამიანის მოკვლის საშუალება?! ეს კითხვა ლოგიკური გახლდათ, პასუხის გაცემა კი საკმაოდ ძნელი იყო.

მკვლელი არასდროსაა უდანაშაულო. მისი ცხოვრება მეტწილად დიდ თუ მცირე დანაშაულობათა უწყვეტი ჯაჭვია. და თუ არამზადას ღვთისა არ ამოსდის, არაფრის წამაშე არ დაიხევს. იგი საათობით დგას კუჩაში, უმიზნოდ დაუიალებს, გამომწვევად ათვალიერებს გამვლელ-გამომვლელებს, უტიფრად ადოლებს სიგარეტს ტროლეიბუსსა თუ ავტობუსში, უგონოდ თვრება რესტორანსა და სასაუზმეში... უკუღმართ, უმიზნო ცხოვრებას ხშირად წარუშლელი დაღი დაუსვამს მისი გარეგნობისთვისაც კი. შეხვდებით ასეთ არამზადას და მისი გამოცნობაც არ გიჭირთ, მას ათას კაცშიაც გამოარჩევ. ხულიგანთა ამ კატეგორიას ემატებიან ნარკომანიის მოტრფიალენი — ილეჯგაწყვეტილი, ფერდაკარგული, ხაოკრად უნებისყოფო ადამიანებიც. მათი უაზრო გამოხედვა ზიზღისა და უნებური სიბრალულის შერეულ გრძნობებს იწვევს. ასეთი, უკაცრავად პასუხია, ხუბიექტების დანახვაზე, ძალაუნებურად გებადება კითხვა: სად სწავლობდნენ, სად ცხოვრობდნენ, როგორ მოვიდნენ აქამდე?

სულ ახლახან ხულიგნებმა იმსხვერპლეს ჭაბუკი, უდანაშაულო, უბიწო უმაწვილი. იგი მხოლოდ 16 წლისა იყო. არავინ იცის, რისთვის მოკლეს იგი. ეს არც მკვლელებმა იციან. მით უფრო შემაძრწუნებელია ეს გაუგონარი ბოროტება.

რა თქმა უნდა, მსგავსი შემთხვევები ჩვენში იშვიათად ხდება. ამგვარ დანაშაულს სჩადიან მხოლოდ თითებზე ჩამოსათვლელი ბოროტმოქმედები. და მაინც ესინი ახერხებენ ჩრდილი მიაყენონ ჩვენს სახელოვან ახალგაზრდობას, შრომის მოყვარე, სიცოცხლის მოყვარე, სწავლის მოყვარე ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, ვისაც ცხოვრების მიზნად ხამშობლო ჰყვანსა და ხალხის უანგარო სამსახური გაუხდია.

საზოგადოების ხორცმეტები... ისინი მთელი დღეები უმიზნოდ დგანან ქუჩაში და ელიან... რას ელიან, თვითონაც არა აქვთ შეგნებული. სწორედ ამ უსაქმურობის წუთებში იბადება მათს გონებაში ათასგვარი მზაკვრული, ბოროტი გეგმა. მათ შეგნებულად დაუხშვეს საკუთარ თავს შრომით, სწავლით, სპორტით მინიჭებული სიხარულისა და კმაყოფილების გზა. მათთვის უცხოა ხალხისადმი ადამიანური ემოციები.

ბოროტმოქმედებად არ იბადებიან. მხოლოდ არასწორი აღზრდა, ალბათ, ამიტომაც განუზომლად დიდია სპორტის როლი ახალგაზრდობის სამხარგებლო და ნაოფელი იდეალებით აღზრდაში.

მით უფრო საოცარია ზოგიერთი მოზარდის მშობლების უარუოფითი დამოკიდებულება სპორტისადმი. ეტყობა, უველგან ვერ უწევენ სათანადო პოპულარიზაციას ფიზკულტურასა და სპორტს, როგორც ჩანს, უველა ოჯახში ვერ აფასებენ მის უაღრესად კეთილისმყოფელ გავლენას მოზარდის ფსიქიკაზე. ეს მაშინ, როცა მოზარდში ქვეცნობიერად იმთავითვე იბადება ლტოლვა — იყოს ძლიერი, სწრაფი, ანტანი, შეუპოვარი.

არც ერთი მოზარდი უსპორტოდ!

ეს სიტყვები დევიზად, ხაპატიო მიზნად უნდა გაიხადოს უველამ, ვისთვისაც ძვირფასია ადამიანის ჯანმრთელობა, მისი ფიზიკური და სულიერი სრულყოფა.

ამ მოწოდებას უნდა გამოეხმაუროს საზოგადოების უოველი წევრი. ეს რთული, მაგრამ რეალური საქმეა. ხაამისოდ მხოლოდ დიდი მონდომება და გულისხმიერებაა საჭირო. ამ საქმეში, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით უნდა გამოიდონ თავი კომკავშირულმა და ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა, სპორტსენებმა, მწვრთნელებმა, ფიზკულტურისა და სპორტის ენთუზიასტებმა.

დაე, უველგან იბაროს ახალმა ნერგმა, დაე, უველა დაეწაფოს ჯანმრთელობისა და კეთილშობილების უებარ წყაროს, რათა უკეთესად ემსახუროს მამულს, ხალხს...

ა. გოგელია,
სპორტის ოსტატი.

შეხვედრები „აუდიტორიუმის“ დარბაზში

პალმა დე მალიორკის ხაზონათშორისო ტურნირი. მდგომარეობა II ტურის შემდეგ: ვ. გელერი (სსრ კავშირი) — 8 ქულა, რ. ფიშერი (აშშ) — 7 ქულა და 2 გადადებული პარტია, ბ. ივკოვი (იუგოსლავია), ვ. ულმანი (გდრ), ე. მეკინგი (ბრაზილია) — 6,5-6,5, ლ. პოლუგაევსკი (სსრ კავშირი), ლ. პორტიში (უნგრეთი) — 6-6, ო. პანო (არგენტინა) — 5,5 ქულა და 3 გადადებული პარტია, ხ. გლიგორიჩი (იუგოსლავია) — 5,5 ქულა და 1 გადადებული პარტია.

პალმას ცნობილ დარბაზში „აუდიტორიუმში“, რომელიც სულ 50 მეტრითაა დაშორებული ზღვას, გუშინწინ ხაზონათშორისო ტურნირის XI ტური შედგა. ფიშერი შეხვდა პოლუგაევსკის. საბჭოთა დიდოსტატმა უკნებელყო ამერიკელის მუქარა და მეტოქენი დაზავდნენ.

კვლავ წარმატებით ითამაშა გელერმა: ამჯერად მან ხელი კანაფელ დ. ხათლხს.

ამხობენ, მეკინგი, რომელსაც ყველა ძალიან ხერხიხულ მეტოქედ მიიჩნევს, ამჯერად უეჭველად შეასრულებს დიდოსტატის ნორმატივს და შესაძლოა პრეტენდენტებშიც მოხვდეს. ამის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა „ჭადრაკის ბელეს“ გამარჯვება ტ. უიტუმენთან (ხონლოლეთი) შეხვედრაში.

პირველი ხარცი იგემა ტაიმანოვმა. მას მოუგო ივკოვმა, რომელსაც, სხვათა შორის, ტაიმანოვის მსგავსად ათ შეხვედრაში 1 მოგება და 9 ყაიმი ჰქონდა.

ულმანმა დაჯაბნა დ. მინიჩი (იუგოსლავია), ხოლო პორტიშმა — მ. ფილიპი (ჩეხოსლოვაკია). ყაიმსე შეთანხმდნენ ამერიკელები ს. რეშევსკი და უ. ადისონი.

ხუთსათიანი ბრძოლის შემდეგ გადაიდო პარტიები: ვ. ხიმენესი (კუბა) — უ. რუბინეტი (არგენტინა), ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) — ბ. ლარსენი (დანია), რ. ჰიუზნერი (გფრ) — ხ. ნარანია (ფილიპინები), ვ. სმისლოვი (სსრ კავშირი) — მ. მატულოვიჩი (იუგოსლავია) და გლიგორიჩი — პანო.

ჰორტს მისაგები მდგომარეობა აქვს, ხოლო სმისლოვი და გლიგორიჩი უპირატესობას ინარჩუნებენ.

პალმა დე მალიორკის ტალღაზე

უიტუმენის აღსარება

სტარტზე მონოლი მოჭადრაკის ტუმე უიტუმენის დაწინაურებამ ჭეყანა აალაპარაკა. რა თქმა უნდა, ჟურნალისტები დაინტერესდნენ უიტუმენით, მისი შეხედულებებით.

უიტუმენმა გულწრფელად თქვა, რომ პირველი მოგებების დიდი იმედი არა მაქვს, სანუკვარ ექვსეულში ვერ მოვხვდებიო. მისი აზრით, ექვსეულში შევლენ ფიშერი, ლარსენი, გელერი, პორტიში, ტაიმანოვი და პოლუგაევსკი. პირველ ადგილს ფიშერი დაიკავებს. შეკითხვაზე: ვინ ითამაშებს სპასკისთან მატჩს 1972 წელს, უიტუმენმა უპასუხა: „კორჩნოი“.

„ლარსენი კასიუს კლეის მაგონებს“

სასტუმრო „ჯეიმში“, სადაც ფიშერი დაბინავდა, ტურნირის სტარტის წინ ამერიკელმა მოჭადრაკემ კორესპონდენტებს ასეთი ინტერვიუ მისცა:

— სათამაშოდ მხოლოდ პატრიოტული მოსაზრებით ჩამოვედი. ამერიკის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი, პოლკოვნიკი ედმონსონი და ცნობილი მეცენატი, ოსტატი ტუროვერი ისე მთხოვდნენ შეჯიბრებაში გამოვსულიყავი, რომ ბოლოს და ბოლოს დავთანხმდი. ჯერჯერობით ვერ ვხედავ მოწაწილეს, რომელსაც შეუძლია ეს ტურნირი მომიგოს, თუმცა ცალკეულ პარტიებში დამარცხებისგან არავინაა დაზღვეული. მთავარი პრობლემა, რომელსაც ახლა ვაგვარებ: მოვასწრო გამოძინება შუადღემდე, შემდგომ ისე უნდა მოვაწყო საქმე, რომ წამლის პირველ ყივილზე არ გამაღვიძონ. შეეცდები პარტიები იმავე დღეს დავამთავრო. ლარსენი კასიუს კლეის მაგონებს: იგი ძალიან ბევრს ლაპარაკობს და თავზეხელაღებულ სისტემებს თამაშობს.

ლარსენის აზრით

დანიელმა დიდოსტატმა გულახდილად თქვა, რომ, მისი აზრით, პრეტენდენტობის უფლებას მოიპოვებენ: პოლუგაევსკი, ლარსენი, ტაიმანოვი, პორტიში, ფიშერი და გელერი. ამასთან, ლარსენმა აღნიშნა, რომ მის პროგნოზში ადგილებზე არაფერია ნათქვამი, თუმცა პატივმოყვარე ფიშერი შეეცდება ფინიშთან პირველი მივიდეს.

ფიშერის წინადადება

საბჭოთა მოჭადრაკეებმა სთხოვეს მხარეთა კოლეგიას ტურები დაიწყოს 3 საათზე, სადილის შემდეგ. ამასთან დაკავშირებით ამერიკელმა დიდოსტატმა ფიშერმა განაცხადა:

— მათთვის ადვილია თქმა, თითქმის ვეგეტარიანელები არიან, მე კი ბივშტექსი და ნასადილევს ძილი მიყვარს. წინადადება შემომმაქვს ტური ერთი საათით გვიან დავიწყოთ.

დაწინაურდა მაია რანიკუ

ბელცი, 23 ნოემბერი. მოჭადრაკე ქალთა XXX ჩემპიონატის III ტურში შედგა ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა — მხოფლიო ჩემპიონის სახელის მაძიებლების ა. კუშნირისა (მოსკოვი) და ტ. ხატულოვსკაიას (ბაქო) პარტია. ძველმა მეტოქეებმა ცხარე ბრძოლა გაიხალეს, რომელიც საბოლოოდ კუშნირმა მოიგო.

რა თქმა უნდა, სხვა შეხვედრებშიც „დაიღვარა სისხლი“. სსრ კავშირის ეკს-ჩემპიონმა მ. რანიკუმ (ტალინი) რევანში აიღო ტ. ლემაჩკოსთან (მოსკოვი) პარტიაში იმ წაგებისთვის, რომელიც მან მოსკოველი მოჭადრაკისგან სსრ კავშირის თასის პირველი გათამაშების ფინალში იწვნია. ალმაათელმა ლ. სტარჩენკომ დაამარცხა საერთაშორისო ოსტატი ვ. ბორისენკო (ტაშკენტი), მ. სამულმა (ტალინი) — რუსეთის ფედერაციის ჩემპიონი ვ. შაიკოვა (სვეტლოგორსკი), ვეტერანმა ესტონელმა ოსტატმა ს. როოტარემ — ახალგაზრდა უკრაინელი მოჭადრაკე ლ. სემიონოვა (ხმელნიცკი).

საქართველოს ჩემპიონი ც. კახაბრიშვილი მოსკოველ ოსტატ ლ. ბელავენეცს შეხვდა. მეტოქენი დაზავდნენ, როცა ბრძოლის ყველა შანსი ამოწურეს. ყაიმზე შეთანხმდნენ, აგრეთვე, თ. ზაიცევა (მოსკოვი) — ლ. ლიუბარსკაია (ვოლგოგრადი).

სხვა პარტიები გადაიდო.

ჩემპიონატში ლიდერობა ხელთ იგდო რანიკუმ — 2 ქულა და 1 გადადებული პარტია.

მაგიდის ჩოგბურთის უძლიერესი ოსტატები

ბელგრადი, 23 ნოემბერი. როგორც ტანიუგის სააგენტო იუწყება, მაგიდის ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის საკლასიფიკაციო კომისიამ გამოაქვეყნა 10-10 უძლიერესი ოსტატის სიები.

ეი, როგორ გამოიყურება ეს კლასიფიკაცია: **ვაჟები** — მსოფლიო ჩემპიონი იტო (იაპონია), შიოლერი (გფრ), ხასეგავა (იაპონია), ევროპის ჩემპიონი ალსერი (შვეცია), კონო (იაპონია), კორპა (იუგოსლავია), ტასაკა (იაპონია), იუპანსონი (შვეცია), შურბეკი (იუგოსლავია), ბენგტსონი (შვეცია); **ქალები** — კოვადა (იაპონია), რუდნოვა (სსრ კავშირი), ალექსანდრუ (რუმინეთი), ვოშტოვა (ჩეხოსლოვაკია), შიოლერი (გფრ), გრინბერგი (სსრ კავშირი), ჰაისლერი (გდრ), ხოვადა, მორისავა (ორივე — იაპონია), ჩოი იუნ სუკი (სამხრეთ კორეა).

სიები 1969-70 წლების სეზონის შეჯეგების მიხედვითაა შედგენილი. ისინი საფუძვლად დაედება მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში (1971 წლის მარტი-აპრილი) მოთამაშეთა „განთესვას“.

თუ საბჭოთა ქალებმა კლასიფიკაციაში ღირსეული ადგილები დაიკავეს, ვაჟები მაინცდამაინც ვერაფრით დაიტრაბახებენ: მათგან საუკეთესო — მოსკოველი ს. გომოზკოვი XI ადგილზეა, ხოლო სსრ კავშირის ჩემპიონი, მოსკოველი ა. ამელინი — XVII.

პრაღაში მოეწყო საერთაშორისო ფოტოგამოფენა „ინტერპრესს-ფოტო-70“, სადაც სპორტულ განყოფილებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. გთავაზობთ ამ განყოფილების რამდენიმე ექსპონატს.

ზევით მარჯვნივ — იუგოსლავიელი ფოტოკორესპონდენტის ვ. პაუვიჩის ნამუშევარი „ნუ შრჩებით ჩემს მამიკოს“, რომელმაც სპორტული ფოტოგრაფიის განყოფილებაში ოქროს მედალი მიიღო; ზევით მარცხნივ — ჩეხოსლოვაკიელი ფოტოკორესპონდენტის ვ. ირშის ფოტოსურათი „დასასრული“, რომელსაც ოქროს მედალი ხვდა ამ გამოფენის უანრული ფოტოგრაფიის განყოფილებაში. „ორნი ბარის გადეში“ — ასე ჰქვია უნგრელი ფოტოკორესპონდენტის პ. გელეშის სურათს, რომელმაც სპორტული ფოტოგრაფიის განყოფილებაში ვერცხლის მედალი დაისაკუთრა.

ჩტკ—სპორტის ფოტო.

• KORANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABDARUGAS •

დიდი — „რივერ პლატაში“

„რივერ პლატას“ (ბუენოს-აირესი) ხელმძღვანელობა უკმაყოფილო იყო უკანასკნელი სეზონის შედეგებით. იგი გაფაცებით ეძებდა მწვრთნელს. ჯერ იყო და მოწვევის ბარათი გაუგზავნეს გამოჩენილ იუგოსლავიელ სპეციალისტ ვეკას, მაგრამ მან არ ისურვა შორეულ არგენტინაში წასვლა. სწორედ ამ მომენტში ბუენოს-აირესში აღმოჩნდა დიდი, რომელიც პერუდან გამგზავრების შემდეგ თვით ეძებდა სამუშაოს.

არგენტინაში მაინცდამაინც არ წყალობენ ბრაზილიელ მწვრთნელებს, მაგრამ დიდის სახელმა გასჭრა და მან „რივერ პლატას“ მთავარი მწვრთნელის პოსტი დაიკავა.

მეკარე და ორი სათადარიგო

იტალიურმა კლუბებმა ეროვნულ ფედერაციას მოსთხოვეს მოთამაშეთა შეცვლის წესის გარდაქმნა. მათს მიერ წაყენებული პროექტის ძალით იტალიის ჩემპიონატის კალენდარულ მატჩებში ექნება შეძლებოდეს მეკარისა და მინდვრის 2 მოთამაშის შეცვლა (დღეისთვის იცვლება მეკარე და 1 მოთამაშე).

რაც შეეხება საერთაშორისო ამხანაგურ მატჩებს, აქ იტალიური კლუბები მოითხოვენ 5 მოთამაშის შეცვლის ნებართვას.

ოღონდ ესპანელები იყვნენ...

როგორც ცნობილია, ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ კარგა ხანია აკრძალა უცხოელი მოთამაშეების ყიდვა. შეიძლება მხოლოდ იმ უცხოელთა მიწვევა, რომლებიც წარმოშობით ესპანელები არიან.

და აი, ესპანეთის კლუბებში გაჩნდა ახალი თანამდებობა: ამ თანამდებობის პირნი ახლა უცხოელ ვარსკვლავთა გენეალოგიას იკვლევენ და ზოგჯერ მიზანსაც აღწევენ.

„რეალმა“ (მადრიდი) აღმოაჩინა, რომ „ესტუდიანტესის“ (არგენტინა) მარცხენა გარემარბ ვერონას მშობლები ესპანელები ჰყავს. „რეალი“ თანხმაა ამ მოთამაშეში 100 ათასი დოლარი გადაიხადოს.

ასეთივე რამ აღმოაჩინა „ვალენსიამ“, რომელსაც ახლა დი სტეფანო წყრთნის. თურმე არგენტინელ კლუბს „პლატენსეს“ თავდასხმელ ვალდესის მშობლებიც ესპანელები ყოფილან. ახლანდელი წესები ადრე რომ ყოფილიყო, თვით დი სტეფანო ვერასოდეს ითამაშებდა ესპანეთში, ვინაიდან იგი წარმოშობით იტალიელია.

უიღბლო „ბარსელონა“

თითქმის გასული სეზონის მანძილზე „ბარსელონის“ ხელმძღვანელები უჩიოდნენ აგრესიული თავდასხმელის უყოლობას. „ბარსელონა“ მთელს ესპანეთში ეძებდა ეგრეთ წოდებულ „გოლიადორს“, რომელიც კლუბის შედეგიანობას გაზრდიდა. ჯერ კიდევ ზაფხულში დაადგეს თვალი „ელჩეს“ ახალგაზრდა ცენტრალურ თავდამსხმელ ასენსის, რომლის „სპეციალობა“ სწორედ გოლების გატანა გახლავთ. მაგრამ ასენსის გადაბირება „ბარსელონის“ გარდა რამდენიმე სხვა კლუბსაც სურდა. არც ეს კონკურენტები იშურებდნენ ფულს, მაგრამ „ბარსელონამ“ ბოლოს მაინც ყველას აჯობა და სანუკვარ თავდამსხმელს დაეუფლა.

მაგრამ დახეთ ბედის უკუღმართობას: 3 ტურის შემდეგ ასენსიმ ფეხი მოიტეხა და სეზონის ბოლომდე გამოეთხოვა მინდორს.

ყველა ჯილდო — პილოტს

ისვიათი წარმატება ხვდა წილად ბელგიურ კლუბ „სტანდარდის“ (ლიეჟი) ფეხბურთელს ლ. პილოტს: ეს თავდასხმელი აირჩიეს „წლის ფეხბურთელად“ თავის ქვეყანაში. საინტერესოა აღინიშნოს, რომ პილოტმა მოიგო ყველა კონკურსი, რომლებიც წლის განმავლობაში ბელგიაში ტარდება. იგი გახდა „ჩემპიონთა ჩემპიონი“, „მუსიო ფეხბურთი“ და „წლის ფეხბურთელი“. ამდენი წოდება ერთდროულად არც ერთ მოთამაშეს არ მიუღია.

ახალგაზრდა კ. დევილს მიენიჭა „სეზონის ყველაზე ძლიერი მოყვარული ფეხბურთელის“ პრიზი.

ვერცხლის ნიღაბი

△ ლონდონი. 36 წლის ინგლისელმა პ. კუპერმა მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის ევროპის ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში მეცხრე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა მ. ურტაინი (ესპანეთი).

△ სეგედი. 23 წლის ფ. ტეგლამ უნგრელ მძლეოსანთა ორგანიზაციის გამართულ შეჯიბრებაში ბადროს ტყორცნაში ქვეყნის ახალი რეკორდი (65,80 მ) დაამყარა. წლეულს ეს მესამე შედეგია მსოფლიოში.

△ ლოზანა. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიამ გადაწყვიტა, რომ თანამედროვე ხუთჭიდში გამარჯვებულები ამიერიდან მედლებით, ხოლო ცალკეულ სახეობებში საუკეთესონი დიპლომებით დაჯილდოვდნენ.

△ რომი. ქვესაშუალო წონის პროფესიონალ მოკრივეთა მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის ბრძოლაში იტალიელმა ანკარიმ მესამე რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა ბრაზილიელი დიასი.

△ პარიზი. გაიმართა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ევროპული კომიტეტის კონგრესი. შეიქმნა კონტინენტის მძლეოსანთა მორიგი ზამთრის ჩემპიონატი სოფიაში გამართოს 1971 წლის 13-14 მარტს. დამტკიცდა 1971 წლის საერთაშორისო შეხვედრების კალენდარი.

△ რომი. იტალიაში სეზონის საუკეთესო სპორტსმენებს ყოველწლიურად ანიჭებენ სპეციალურ პრიზს — „ვერცხლის ნიღაბს“. ოღონდ ეგ არის, რომ პრიზების მინიჭება მოგვიანებით, მეორე სეზონის მეორე ნახევარში ხდება. 1969 წლის შედეგების მიხედვით „ვერცხლის ნიღაბი“ მიეკუთვნათ მოტოსპორტში მსოფლიო ჩემპიონს ჯ. აგოსტინისა და ფეხბურთელ ჯ. რივერას.

△ ნიუ-იორკი. გამოჩენილმა მოცურავე დ. შოლანდერი, რომელმაც ტოკიოს ოლიმპიადაში ოქროს 4 მედალი მოიპოვა, ამერიკის შეერთებული შტატების ოლიმპიური კომიტეტის წევრად აირჩიეს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ტყვიის სროლა. ავჭალის სასროლეთი. 25 ნოემბერი-2 დეკემბერი. სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა პირად-გუნდური პირველობა. დასაწყისი 10 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 ᲣᲔ 13335